# ᲘᲕᲔᲠᲘᲐ

№ 16, 1989 წლის 3 ნოემბერი


„მარად და უველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა,
მე ვარო შენი თანამდევი უკვდავი ხელი!“



## ილია ჭავჭავაძის საზოგადოების დარბაზის გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა "ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტის" შესახებ

როგორც საზოგადოებრიობისათვის ცნობილია, ა.წ. 29 ოქტომბერს მოხდა რიგი ოპოზიციური ძალების გაერთიანება "ეროვნული ხსნის მთავარ კომიტეტში". ამავე დროს საჯაროდ იქნა გამოცხადებული, რომ ნებისმიერ ოპოზიციურ ორგანიზაციას შეუძლია მასში გაერთიანება.

ილია ჭავჭავაძის საზოგადოებამ, რომელიც ყოველთვის იყო ოპოზიციური ეროვნული ძალების კოორდინირებული მოქმედების მომხრე, 30 ოქტომბერს მზადყოფნა გამოხატა "ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტის" წევრი გამხდარიყო, მაგრამ, მიუხედავად წინა დღის საჯარო განცხადებისა, მაინც უარი მიიღო. იგივე განმეორდა 31 ოქტომბერსაც, როდესაც კვლავ დაისვა საკითხი ილია ჭავჭავაძის საზოგადოების "ეროვნული ხსნის მთავარ კომიტეტში" გაერთიანების შესახებ. უარის საბაბი გახდა პოზიციათა სხვაობა ზოგიერთ მიმდინარე საკითხზე, როგორიცაა მაგალითად არჩევნების ბოიკოტი.

სრულიად ნათელია, რომ ამგვარი საბაბით ილია ჭავჭავაძის საზოგადოებისათვის გზის გადაკეტვა "ეროვნული ხსნის მთავარ კომიტეტში" წარმოადგენს იმის მცდელობას, რომ კომიტეტში ერთი აზრის დიქტატის დამკვიდრების შესაძლებლობა გაიზარდოს. ერთი აზრის დიქტატი კი, 70 წლის მწარე გამოცდილებას თუ გავიხსენებთ, ხსნის გზაზე ვერ გაგვიყვანს. უეჭველია, რომ ასეთ შემთხვევაში კომიტეტი ისეთივე ფორმალური გახდება, როგორიც იყო იმ პერიოდში, როდესაც მის შემადგენლობაში ფაქტიურად ერთ ორგანიზაციაში შემავალი გაერთიანებანი დარჩნენ.

ჩვენი აზრით, "ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტი" მხოლოდ მაშინ გაამართლებს თავის სახელსა და დანიშნულებას, თუ მასში გაერთიანდება საქართველოში არსებული ყველა ის ოპოზიციური ძალა, რომლის მიზანია საქართველოს სრული დამოუკიდებლობა.

რაც შეეხება მიმდინარე საკითხებთან დამოკიდებულებას, სხვადასხვა ორგანიზაციის გაერთიანება ამ ნიშნით, არის მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური აღიანსი, ანუ ტაქტიკური, დროებითი კავშირი, როცა ამა თუ იმ კონკრეტულ საკითხზე ორგანიზაციათა პოზიციები ერთმანეთს ემთხვევა. ხოლო "ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტი" უნდა იყოს ოპოზიციური ძალების ისეთი მაკოორდინირებელი ორგანო, რომელიც შეიქმნება პარიტეტული პრინციპით სტრატეგიული საკითხების გადასაწყვეტად.

ილია ჭავჭავაძის საზოგადოებას მიაჩნია, რომ ამჟამინდელ "ეროვნული ხსნის მთავარ კომიტეტში" გაერთიანების პრინციპი სრულიად მიუღებელია, რადგან ეს ქმნის ამ კომიტეტში ერთი აზრის დიქტატის დამკვიდრების საშიშროებას, რაც ოდნავადაც ვერ შეუწყობს ხელს ეროვნული ოპოზიციური ძალების რეალურ კოორდინირებულ მოქმედებებს დემოკრატიულ საფუძველზე, მთავარი მიზნის – საქართველოს სრული დამოუკიდებლობის მიღწევის გზაზე.

## ქართველ ექიმთა პროტესტი

**1 ნოემბერს სამედიცინო ინსტიტუტის წინ გაიმართა მიტინგი აფხაზეთში მცხოვრები ქართველი ექიმების მხარდასაჭერად. მიტინგს წარმართავდა საქართველოს ექიმთა ასოციაცია. მიტინგზე აფხაზეთიდან ჩამოსულმა ქართველმა ექიმებმა მოყვანეს მრავალრიცხოვანი ფაქტები იმისა, რომ ივლისის ტრაგიკულ დღეებში აფხაზმა ექიმებმა ქართველ დაჭრილებს არ გაუწიეს სამედიცინო დახმარება და ამით დაარღვიეს ექიმის წმინდათაწმინდა მოვალეობა. მიუხედავად ამისა, ეს ექიმები არათუ დასჯილნი, დაჯილდოებულნიც კი იყვნენ აფხაზეთის ჯანდაცვის მინისტრის მიერ. მიტინგზე მოითხოვეს მათი დასჯა და მინისტრის მოხსნა, აგრეთვე საკადრო პოლიტიკის შეცვლა და ქართველ ექიმთა დისკრიმინაციის აღკვეთა აფხაზეთში. (აფხაზეთში მომუშავე 1700 ექიმიდან ქართველია 1100, მიუხედავად ამისა, თანამდებობების 97% ჯანდაცვის სისტემაში დაკავებული აქვთ აფხაზებს). წინააღმდეგ შემთხვევაში, გადაწყდა ჩატარდეს სხვადასხვა სახის საპროტესტო აქციები.**

მიტინგი მიჰყავდა ექიმთა ასოციაციის წარმომადგენელს მერაბ საყვარელიძეს. სიტყვებით გამოვიდნენ: ჯუმბერ ჯოჯუა, ლევან ფიფია, აკად. ვახტანგ ბოჭორიშვილი, აკად. ვახტანგ ფიფია, პროფ. გელა ლეჟავა, აკაკი ბაქრაძე, გივი ღამბაშიძე, ზაზა სიხარულიძე (ინვალიდთა ასოციაციის პრეზიდენტი), ვახტანგ ტაბაღუა, ჯუმბერ კოპალიანი, ბადრი გუგუშვილი, პროფ. ცოტნე ჩხიკვიშვილი, აკად. ზაზა კახიანი და და სხვები.

მიტინგის დასასრულს თემურ ჩიქოვანმა წაიკითხა საქართველოს ექიმთა ასოციაციის მიმართვა ქართველი ერისადმი. მიმართვაში ჩამოყალიბებულია კატეგორიული მოთხოვნები, კერძოდ: გასამართლდნენ საერთაშორისო სამართლის კანონმდებლობით ის ექიმები, რომელთაც დაარღვიეს საექიმო ზნეობის პრინციპი და ეროვნებისდა მიხედვით განასხვავეს აფხაზეთში 15-16 ივლისს ტერორისტული აქციის დროს დაზარალებულნი; დაუყოვნებლივ გადაყენებულ იქნას აფხაზეთის ჯანდაცვის მინისტრი აკიშბა და მიეცეს პოლიტიკური შეფასება მის საქმიანობას აფხაზეთში ჩატარებული ტერორისტული აქციის დროს; დაუყოვნებლივ გადაისინჯოს აფხაზეთის ჯანდაცვის სისტემაში არსებული საკადრო პოლიტიკა და აღკვეთილ იქნას ქართველი ექიმების დისკრიმინაცია; განხორციელდეს საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლების და სხვა საკავშირო დაქვემდებარების ორგანიზაციების და საზოგადოებების სრული ავტონომიზაცია და სხვა.

საქართველოს ექიმთა ასოციაციის გამგეობა აცხადებს, რომ თანმიმდევრულად და უკომპრომისოდ იბრძოლებს წამოყენებულ მოთხოვნათა შესასრულებლად.

ილია ჭავჭავაძის საზოგადოება მხარს უჭერს საქართველოს ექიმთა ასოციაციის მიმართვაში წამოყენებულ მოთხოვნებს და **აცხადებს, რომ ამ მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში აქტიურად მიიღებს** მონაწილეობას ექიმთა ასოციაციის მიერ ჩატარებულ საპროტესტო აქციებში.

მასალები ინფორმაციისათვის მოგვაწოდეს გურამ სხირტლაძემ და გურამ ნარსიძემ.

## ეროვნულ ენერგიას რეალური გზა!

**1989 წლის ოქტომბერ–ნოემბერში, საქართველოში ისედაც გართულებული პოლიტიკური თუ ეკონომიკური ვითარება კიდევ უფრო დაიძაბა და გამწვავდა. ამის ძირითადი მიზეზებია ქართველი ერისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხების მოგვარების გაჭიანურება; საიმპერიო ძალების მცდელობა – რაც შეიძლება უცვლელი სახით შეინარჩუნონ იმპერიის მთლიანობა და ბოლოს, გაბატონებულთათვის საასურველ კალაპოტში მოაქციონ ეროვნული თუ საზოგადოებრივი მოძრაობები.**

ილია ჭავჭავაძის საზოგადოება აუცილებლად თვლის ქართველ საზოგადოებრიობას გააცნოს მისი დამოკიდებულება საქართველოში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით:

ეთნოკრიზისების წინააღმდეგ ბრძოლაში ჩვენი ამოსავალი პრინციპია ინსპირატორთა გეგმის საწინააღმდეგო ქმედება, ამ ბორბლების ჩანასახშივე მოსპობა და არა მისი ხელშეწყობა. ამ საქმეში ჩვენთანაა ღმერთი, რამეთუ ათასწლეულთა მანძილზე მისი წყალობით შექმნილ ქართულ საზოგადოებაში ქართველობას მოკედლებულ უცხო ტომთა მიმართ ბიოლოგიური ზიზღი და მტრობა არ გაჩენილა. ამდენად, ბრძოლა ამ ხელოვნურად დათესილი ზიზღისა და მტრობის წინააღმდეგ აუცილებელია გონიერი მოქმედებით, ასე ვმოქმედებდით ჩვენ აფხაზეთში, სადაც ჩვენი საზოგადოების დიდი განყოფილება ფუნქციონირებს, და ასევე ვცდილობდით გვემოქმედნა ე.წ. ოსეთსაც ოსეთშიც. აღბათ სწორედ ამიტომ აწყდებოდა და აწყდება ამ ჯოჯოხეთში ჩვენი საზოგადოება გააფთრებულ წინააღმდეგობას; აღბათ ამიტომ რჩება ხშირ შემთხვევაში იგი მარტო, და აღბათ სწორედ **ამ მიზეზით სახიჩრდებიან და იხოცებიან მისი წევრები ასეთ ბრძოლებში.**

**ილია ჭავჭავაძის საზოგადოება მიიჩნევს, რომ აუცილებლად უნდა იქნას დაცული საქართველოს ერთიანობა და ქართველების სამართლიანი ინტერესები მათ სამშობლოში.** ამასთან, ჩვენი ეროვნული ინტერესების დაცვა გარეშეს კი **არ** უნდა ვთხოვოთ, არამედ ჩვენ თვითონ **უნდა** გამოვძებნოთ **საამისო** საშუალებანი. ამ მიზნით აუცილებელია, რომ შეიქმნას აფხაზეთის, შიდა ქართლის, ქვემო ქართლის და სამხრეთ საქართველოს "რეგიონალურ-ეროვნული საკრებულოები". მათში უნდა გაერთიანდნენ აღნიშნული რეგიონებისა და მისი მიმდებარე რაიონების ქართველი მოსახლეობის წარმომადგენლები, ქალაქების, დაბების და სოფლების კრებებზე არჩეული პატრიოტები. ეროვნულმა საკრებულოებმა ადგილზევე უნდა მიიღონ საჭირო ზომები ქართველთა სამართლიანი მოთხოვნების განსახილველად და დასაკმაყოფილებლად. ეროვნულ საკრებულოთა მოქმედების კოორდინირება და სხვა დეტალთა დაზუსტება შეუძლია ილია ჭავჭავაძის საზოგადოებას სხვა ეროვნულ ძალებთან ერთად.

ილია ჭავჭავაძის საზოგადოება რეალურად უყურებს არმიაში გაწვევის საკითხს. იგი მიიჩნევს, რომ სრული ბოიკოტი ამ სფეროში არაა მთლად წინდახედული **ნაბიჯი. ჯერ ერთი, წვევამდელთა აქციის დროს გათვალისწინებული არაა იმ ქართველ ჯარისკაცთა ბედი, (ერთდროულად საქართველოდან 160 ათასი კაცი მსახურობს), რომლებიც უკვე გაწვეულები არიან რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ.** ამიტომ ჩვენ უნდა მივიხედოთ მათი სასწრაფოდ დაბრუნება საქართველოში.

მეორეც, სრული ბოიკოტის განხორციელება შესაძლებელიც რომ იყოს, დღეს აღბათ უფრო რეალურია ეროვნული ფორმირებების სასწრაფოდ ჩამოყალიბების მოთხოვნა. ქართველი ახალგაზრდობა ეროვნულ არმიაში უნდა დაეუფლოს საბრძოლო ტექნიკასა და ჩვევებს. ეს აუცილებელია საქართველოს დამოუკიდებლობისათვის. ყველა ჭართველი საქართველოში დისლოცირებულ ეროვნულ შენაერთებში! – აი ჩვენი პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით. ბოიკოტი, ჩვენს აზრით, მიზანშეწონილი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება, თუ ხელისუფლება უარს იტყვის ქართველი ხალხის ამ კანონიერი მოთხოვნის შესრულებაზე. **პოლიტიკური აქციების გამწვავება მხოლოდ იმ შემთხვევაში** არის დასაშვები, თუ მკაფიოდ და რეალისტურადაა ჩამოყალიბებული ერისათვის უპირველესი სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემები და მოთხოვნები.

ილია ჭავჭავაძის საზოგადოება დარწმუნებულია, რომ ეროვნულ მოძრაობაში ჩართულ სულ ძალებს, სათანადოდ მომზადებულ ქართველ პატრიოტებს შეუძლიათ მართალ გზაზე ატარონ ეროვნული მოძრაობა. რეალური, ერის ინტერესებიდან გამომდინარე პოლიტიკური კურსი, – აი, ჭეშმარიტი გზა გამარჯვებისა.

## ანთებული სანთლებით

**30 ოქტომბერს, "პოლიტპატიმრის დღეს", იმპერიის დედაქალაქში მოეწყო საპროტესტო აქცია. საკავშირო სუკ-ის შენობის წინ რამდენიმე ათასმა კაცმა მოიყარა თავი. ათასმა დემონსტრანტმა აანთო ათასი წმინდა სანთელი – საბჭოთა ძალადობის მსხვერპლთა ხსოვნისა და სულის მოსახსენებლად.** მთელი საათი იდგნენ ყველაზე პირქუში შენობის წინ სანთლებით ხელში მდუმარე ადამიანები. ამის შემდეგ დემონსტრანტები პუშკინის მოედნისაკენ დაიძრნენ, რათა იქ განეგრძოთ მიტინგი. მოედნის მისადგომებთან მათ გზა გადაუღობა სპეცდანიშნულების შინაგანმა ჯარმა. დაიწყო სასტიკი ანგარიშსწორება მშვიდობიან დემონსტრანტებთან. სალდათები განურჩევლად სცემდნენ ყველას – ქალსაც და კაცსაც. მრავალი თავგამეტებული დემონსტრანტი დაეცა ძირს, ბევრი დაშავდა. დააპატიმრეს და სპეციალურად მოყვანილ ავტობუსებში შეჰყარეს ორმოცზე მეტი კაცი. თითოეულ მათგანს სხვადასხვა ზომის ადმინისტრაციული სასჯელი დაეკისრა. ბამოსვლას უძღვებოდა "მემორიალი" და "დემოკრატიული კავშირი".

მოსკოვიდან გადმოცემულ კორესპონდენციაში დემონსტრაციის მონაწილენი შენიშნავენ, რომ ამ ბოლო დროს ასეთ დაუნდობელ რბევას მოსკოვში ადგილი არ ჰქონია; როგორც ჩანს, ხელისუფალთ მოსკოვში თბილისის "გმირობის" ჯანმეორება სურთ. ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ მდუმარე მოსკოველები ანთებული სანთლებით ხელში უკვე გარკვეულად თბილისსა და საქართველოს ასოციაციებს ბადებს. ღმერთმა ინებოს და 30 ოქტომბერი ჭეშმარიტი ქრისტიანობისაკენ რუსეთის შემობრუნების **ღღე იქცეს.** ამაშია ხსნა – იმპერიის **ჩაგრული ერების, კაცობრიობისა** და თვით **ბედკრული** რუსებისაც.

* * *

**30 ოქტომბერს პუშკინის მოედანზე** სპეცჯარებთან შეტაკებისას **დაპატიმრებულმა** ოცმა კაცმა გამოაცხადეს შიმშილობა და შექმნეს **დოკუმენტი, რომელშიც** დაგმობილია "1917 წლის ოქტომბრის ტრაგიკული მოვლენების ზეიმი, რომელსაც 72 წლის მანძილზე ტანჯვა-წამების გარდა არაფერი მოუტანია ხალხისათვის".

ᲙᲐᲠᲚᲝ ᲙᲐᲕᲡᲐᲫᲔ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფრანგი მეცნიერი საბჭოთა ეროვნული პოლიტიკის შესახებ

მიმდინარე წლის 2 და 3 ოქტომბერს რადიო "თავისუფლების" რუსულმა რედაქციამ გადმოსცა ფიქიმის სრული ტექსტი აღენ ბეზანსონის სტატიისა "საბჭოთა იმპერია – გარდაქმნის მოწინააღმდეგე". სტატიის სრული ტექსტი დაიბეჭდა პარიზის რუსულ გაზეთ "რუსსკაია მისლში".

აღენ ბეზანსონის სახელი კარგადაა ცნობილი ევროპისა და ამერიკის საზოგადოებრივ წრეებში. განსხვავებით სოვეტოლოგთა უმრავლესობისაგან, ბეზანსონი, ისევე როგორც ამერიკელი რიჩარდ პაიპსი, კარგად იცნობს არა მარტო კომუნიზმის პრობლემებს, არამედ რუსეთის ისტორიასაც.

ბეზანსონის აზრით, დღეს რუსი ხალხის წინაშე განსაკუთრებით მწვავედ დგას პრობლემა, თუ რა ფორმით უნდა იარსებოს მომავალში რუსეთმა. თუ რუსებს სურთ იმპერიის შენარჩუნება და ზესახელმწიფოს სტატუსი, მაშინ ისინი უნდა შეურიგდნენ კომუნისტური სისტემის არსებობას ყველა აქედან გამომდინარე შედეგებით. ავტორის აზრით, იმპერიის შენარჩუნება მხოლოდ კომუნიზმის პირობებში თუ არის შესაძლებელი. ვისაც სურს რუსული საზოგადოების ჭეშმარიტი ჰუმანიზაცია, ზნეობრივ პრობლემათა გადაწყვეტა და კომუნისტური მემკვიდრეობის დაძლევა, მან უარი უნდა თქვას რუსეთის იმპერიაულურ არსებობაზე იმის გამო, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემთხვევაში რუსეთი ვეღარ იქნება ზესახელმწიფო.

კომუნისტური სისტემისა და იმპერიის არსებობის პირობებში რაიმე სერიოზული სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური გარდაქმნები ბეზანსონს შეუძლებლად მიაჩნია, რადგანაც, მისი აზრით, ჭეშმარიტი დემოკრატია შეუთავსებელია ცენტრალიზმთან.

ავტორი შედარებით ვრცლად ეხება გორბაჩოვის ეროვნულ პოლიტიკას და აღნიშნავს, რომ მისი პოლიტიკა გამოირჩევა მანევრულობით. გორბაჩოვის მანევრებში ბეზანსონი გულისხმობს საზოგადოება "პამიატისადმი" წაყრუების პოლიტიკასა და რუსეთის ნათლისღების ათასწლოვანი იუბილის პომპეზურ აღნიშვნას. ამავე დროს, ბეზანსონის აზრით, გორბაჩოვი ცდილობს არარუსი ერების დაშინებას რუსული ფანატიზმის შესაძლებელი გამოვლინებით და ხსნის გზად დემოკრატიზაციასა და გარდაქმნას სახავს.

იმპერიისა და კომუნისტური მმართველობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში, ავტორის აზრით, უკრაინა და მუსულმანური რეგიონები ყველაზე დიდ პრობლემებს უქმნიან კრემლს. აქედან გამომდინარე, კრემლი ცდილობს ძირშივე აღკვეთოს ნებისმიერი საზოგადოებრივი მოძრაობა უკრაინაში, ხოლო მუსულმანებთან დიდი თამაშის პოლიტიკას ეწევა თვით ირანის მონაწილეობით. ბეზანსონი ვარაუდობს, რომ კრემლი შეიარაღების შეზღუდვის პოლიტიკას გამოიყენებს საბჭოთა არმიაში მუსულმანთა რიცხვის შესამცირებლად.

კრემლი მანევრირებს, რათა დრო მოიგოს, მაგრამ დრო ძალზე ცოტა რჩება, – სასიცოცხლო პრობლემები დაუყოვნებლივ გადაწყვეტას მოითხოვენ.

თავის სტატიაში ბეზანსონი თბილისის 9 აპრილის ტრაგედიასაც ეხება და აღნიშნავს, რომ კრემლის მანევრების ამპლიტუდა ეროვნულ საკითხში დემოკრატიის თამაშსა და ხოცვა-ჟლეტას შორის მერყეობს. თუ ბალტიისპირეთსა და კავკასიაში კრემლი თავს ნებას აძლევს, მოვლენები მანამ მიუშვას თვითდინებაზე, სანამ შეიარაღებული ძალის გამოყენება გახდება საჭირო, უკრაინასა და მუსულმანურ რეგიონებში ასეთი მიშვება თავიდანვე გამორიცხულია. ავტორის აზრით, უკრაინელებსა და მუსულმანებს "კრიტიკული მასა" გააჩნიათ. ბეზანსონი არ განმარტავს, თუ რა არის "კრიტიკული მასა", მაგრამ საშუალო სკოლის ფიზიკის კურსიდანაც კარგადაა ცნობილი, თუ რას წარმოადგენს კრიტიკული მასა და რა საშიშროებას შეიცავს.

დასავლეთი შეშინებულია საბჭოთა იმპერიის მოსალოდნელი დაშლის კატასტროფული შედეგებით, მაგრამ თვით ამ იმპერიის არსებობა წარმოადგენს საშიშროებას, დაასკვნის ავტორი. ბეზანსონის აზრით, დასავლეთმა უნდა დაამყაროს კონტაქტები რუსეთის იმ წრეებთან, რომელნიც იმპერიალური და კომუნისტური არსებობით კი არ არიან დაინტერესებულნი, არამედ რუსეთის მწვავე პრობლემების რუსეთშივე ლ გადაწყვეტით. ავტორი ასევე ურჩევს დასავლეთის საზოგადოებას, შეძლებისდაგვარად კონსულტაციები გაუწიოს თავისუფლებისათვის მებრძოლ არარუს ხალხებს.

დავით აბაშიძე

## ოია წერილი გაზეთ "იზვესტიის" მთავარ რედაქტორს

თქვენი გაზეთის ფურცლებზე (№ 296, 23.10.89) ვ. ლიტოვკინმა ("სამოქალაქო დესანტი ჯარებში") ხელყო ქართველი ერის ერთობა – რესპუბლიკიდან სამხედრო სამსახურში გაწვეულთა შორის ქართველებთან, აფხაზებთან, სომხებთან და რუსებთან ერთად მოიხსენია მეგრელები და აჭარლები.

თქვენ უნდა გცოდნოდათ, რომ მეგრელები (мегрелы და არა мингрелы ) და აჭარლები ოდითგან იყვნენ და აწ და მარადის დარჩებიან ისეთივე ქართველებად, როგორებიც არიან ქართლელები, კახელები, იმერლები, სვანები, გურულები, ხევსურები, თუშები, მესხები, რაჭველები და სხვა ქართულ პროვინციათა წარმომადგენლები.

რაც შეეხება აფხაზებს, თქვენი გაზეთის ავტორიტეტი უწიგნურობას ვერ უნდა ურიგდებოდეს; მათი სახელი რუსულად არის "абхазы" და არა " абхазцы" (ხალხი თავის თავს აფსუას უწოდებს).

გაზეთმა თავის მკითხველს საჯაროდ უნდა განუმარტოს, რა არის ეს – ვ. ლიტოვკინის და თქვენი გაზეთის უწიგნურობა და უმეცრება, თუ "კრემლის იმპერიის" მორიგი მცდელობა – ღახვარი ჩასცეს საქართველოს ერთიანობას, ქართველი ერის ერთობას?

გუმა აფაქიძე

24.10.1989, თბილისი

## მართლაცდა – რა გითხრათ, რით გაგახაროთ?

გამომცემლობა "მერანმა" გამოსცა კრებული "რა გითხრათ, რით გაგახაროთ?", რომელშიც გამოქვეყნებულია პერიოდულ პრესაში ადრე დაბეჭდილი პუბლიცისტური წერილები და 9 აპრილთან დაკავშირებული მასალები.

ჩვენი ყურადღება მიიპყრო ერთმა ფაქტმა. საქმე ისაა, რომ 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ პირველივე დღეებში, კერძოდ 11 აპრილს, შეიქმნა სამედიცინო საზოგადოებრივი კომისია, რომლის შემადგენლობაში ასევე პირველივე დღიდანვე უაღრესად აქტიურად იღვწოდა ილია ჭავჭავაძის საზოგადოების წარმომადგენელი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ბ-ნი თემურ ლმაია. ამ კომისიის თავდადებული, დაუღალავი მუშაობა იმ რთულ და მძიმე დღეებში ყველასათვის კარგადაა ცნობილი. ეს არც კრებულის შემდგენლებს გამორჩენიათ მხედველობიდან, მაგრამ რას უნდა მივაწეროთ ის ფაქტი, რომ კომისიის წევრთა შორის აღარაა მოხსენიებული ბ-ნი თემურ ლმაია? რას ნიშნავს ასეთი იგნორირება? რა არის ეს, თუ არა კიდევ ერთი სულმდაბალური გამოხდომა ილია ჭავჭავაძის საზოგადოების წინააღმდეგ?

იქნებ ეს საღაპარიკოდ არც ღირდა, ამგვარი დამოკიდებულება ილია ჭავჭავაძის საზოგადოების მიმართ ტიპიური რომ არ იყოს.

კრებულის ერთერთი შემდგენელია გამომცემლობა "მერანის" დირექტორი, კრიტიკოსი გურამ გვერდწითელი...

ანზორ აბჟანდაძე

## საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ჭითანავას

ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ სოფელ ვაზიანში შენდება თხევადი ქლორის ჩამოსასხმელი საწარმო. მისი აშენების შესახებ დადგენილება მიღებულია 1970 წელს საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ, ხოლო პროექტი დამუშავებულია ირკუტსკის ხაკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ 1977 წელს. ქლორის ჩამოსხმის ტექნიკური ნორმების ცვლილებების გამო პროექტი გადამუშავებულია ორჯერ. მშენებლობა დაიწყო 1978 წელს. დღეისათვის შენობა დამთავრებულია, დარჩენილია დამონტაჟება.

პროექტის მიხედვით ვაზიანის თხევადი ქლორის ჩამოსასხმელ საწარმოში ერთდროულად უნდა ინახებოდეს 100 ტონა თხევადი ქლორი, ხოლო წარმადობა უნდა იყოს 1000 ტონა წელიწადში.

კომპეტენტური სპეციალისტების მოწმობით, თხევადი ქლორის ჩამოსასხმელი საწარმო საკმაოდ დაშორებული უნდა იყოს საცხოვრებელ რაიონებს, რადგან ავარიის შემთხვევაში თხევადი ქლორის დაქცევის დროს ხდება ადამიანთა მასობრივი მოწამლვა 5-7 კმ-ის რადიუსში, ამასთან მომწამვლელი აირი გადააქვს ქარსაც. ამდენად, ვაზიანში მისი მშენებლობა თავიდანვე გაუმართლებელი იყო, დღეისათვის კი მის მიმდებარე ტერიტორიაზე კიდევ უფრო მეტი საწარმო-დაწესებულებაა განლაგებული. თუ გავითვალისწინებთ საწარმოს დიდ ტევადობასა და წარმადობას, თხევადი ქლორის ჩამოსხმის ტექნოლოგიურ სრულეს და იმასაც, რომ საბჭოთა კავშირში წარმოების კულტურა მეტისმეტად დაბალ დონეზეა, ცხადია, ავარიის შესაძლებლობა სრულიად რეალურია, და ადვილი წარმოსადგენია, ავარიის შემთხვევაში რა წარმოუდგენელი უბედურება დაატყდება თავს ქ. თბილისის, სოფლების – სააკაძის, მარტყოფის, ნორიოს, დიდი და პატარა ღიღის მოსახლეობას.

ილია ჭავჭავაძის საზოგადოება მოითხოვს, დაუყოვნებლივ შეწყდეს ვაზიანის თხევადი ქლორის ჩამოსასხმელი საწარმოს მშენებლობა და მონტაჟი, არსებული ნაგებობა გამოყენებულ იქნას სხვა უფრო საჭირო და უსაფრთხო საწარმოსათვის, ხოლო რესპუბლიკის მომარაგება თხევადი ქლორით გაგრძელდეს იქიდან, საიდანაც დღემდე მარაგდებოდა, კერძოდ, სუმგაითიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში ილია ჭავჭავაძის საზოგადოება განახორციელებს საპროტესტო აქციებს ამ უაღრესად საშიში ობიექტის ექსპლოატაციაში შესვლის წინააღმდეგ.

ილია ჭავჭავაძის საზოგადოების გამგეობა

თბილისი, 1989 წლის 25 ოქტომბერი

## გოლიათი ილვიძებს

კიევიდან მიღებული ინფორმაციიდან ჩანს, რომ მძინარე გოლიათი – უკრაინა ილვიძებს. უკრაინელთა ეროვნული სულის აღორძინება დიდ ხიფათს უქმნის იმპერიას. სწორედ ამიტომ იყო, რომ სექტემბრის მიწურულს თავად მ. გორბაჩოვი ეწვია კიევს, გადააყენა 17 წლის წინათ ბრეჟნევის მიერ დასმული შჩერბიცკი და ახალ მდივნად ვლ. ივაშკა დაადგინა. აღსანიშნავია, რომ კიევში გამოსვლისას გენერალური მდივანი ერთნაირად ემუქრებოდა როგორც კონსერვატორებს, ისე რადიკალებსაც. ასეა თუ ისე, ივაშკა საქმეს შეუდგა და უკვე გამოიჩინა თავი მშვიდობიან დემონსტრანტთა ცემა-ტყეპით. ერთდროულად, ძალას იკრებს პატრიოტული გაერთიანება "რუხი", რომელმაც უკვე დიდი ავტორიტეტი მოიხვეჭა. ზაფხულში აგორებული უკრაინული ეროვნული მოძრაობა არც სექტემბერ-ოქტომბერში შენელებულა.

ოქტომბრის დასაწყისში გრანდიოზული დემონსტრაციები, მანიფესტაციები და მიტინგები იმართებოდა ქ. ლვოვში. დასავლეთი უკრაინა მუდამ გამორჩეოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სიმკვეთრით, მაგრამ აღმოსავლეთ უკრაინის გააქტიურება ამ მხრივ, საბჭოთა იმპერიის ჩაგრულ ერთა აღტაცებას იწვევს.

4-5 ოქტომბერს შინაგანი ჯარები სასტიკად გაუსწორდნენ ქ. ლვოვის მომიტინგეებს. ბევრი დასისხლიანებული დემონსტრანტი აღმოჩნდა საავადმყოფოში. 7 ოქტომბერს საპროტესტო მიტინგი გაიმართა კიევში, რომელსაც უცხოელი ჟურნალისტებიც ესწრებოდნენ. ამ მშვიდობიანი აქციის მონაწილენი მხოლოდ მას შემდეგ დაასისხლიანეს ხელკეტებით, როცა უცხოელებმა დასტოვეს იქაურობა. 8 ოქტომბერს კრეშჩატიკზე კიდევ უფრო მეტმა ხალხმა მოიყარა თავი. შეკრებილები მოითხოვდნენ რეპრესიების შეწყვეტასა და უკრაინაში დემოკრატიზაციის პროცესების დაჩქარებას. ისინი ვერც ამჯამად გადაურჩნენ წესრიგის დამცველთა რისხვას და კვლავ ცემა-ტყეპა დაიმსახურეს. ამანაც ვერ დააშინა უკრაინელი პატრიოტები – გამოსვლები კიევში 9 ოქტომბერსაც გაგრძელდა. დემონსტრანტებმა პიკეტები მოაწყვეს ქალაქკომის წინ და კვლავ მოითხოვდნენ რეპრესიების შეწყვეტას.

გამოსვლები და შემდეგ რეპრესიები მი მიმდინარეობდა უკრაინის სხვა ქალაქებშიც. 8 ოქტომბერს მომიტინგეები შეიკრიბნენ ღესია უკრაინკას ძეგლთან, მის სამშობლოში – ქ. ნოვოგრად-ვოლინსკში (ჟიტომირის ოლქი). აქაც გაჩნდა მარბიელი, აქაც დაიღვარა ნაგვემთა სისხლი. გამხეცებულმა ჯარისკაცებმა უმოწყალოდ ურტყეს მუცელში ხელკეტები ფეხმძიმე ქალს ტატიანა ნიკიტინას. შეკრებილები მაინც არ იშლებოდნენ, ისინი ჯარის ნაწილებს უყვიროდნენ: "ფაშისტებო!.. გესტაპო!... ჯალათებო!..." ამ დარბევის საპროტესტოდ მეორე დღეს დიდი გამოსვლა მოეწყო ქ. ჟიტომირში, სადაც სხვა საკითხებთან ერთად იდგა ადგილობრივი ხელისუფლების მიერ ყოფილ პოლიტპატიმართა დევნის შეწყვეტის მოთხოვნებიც.

"რუხის" და უკრაინის სხვა პატრიოტულ ორგანიზაციათა განცხადებით, 15 ოქტომბერს მთელ უკრაინის მასშტაბით დაგეგმილია მიტინგები და მანიფესტაციები. როგორც გადმოგვცემენ, დღის წესრიგში **იდგება მომავალი** არჩევნების დემოკრატიზაციის მოთხოვნებიც.

კახაბერ კახაძე

### გაზეთ "ივერიის" მკითხველებს!

გთხოვთ გაგვაცნოთ თქვენი შენიშვნები და სურვილები გაზეთ "ივერიის" შესახებ. გთხოვთ აგრეთვე გამოგვიგზავნოთ წერილები და ინფორმაციები აქტუალურ საკითხებზე. გაზეთის მოცულობის შეზღუდულობის გამო, გთხოვთ მასალა არ აღემატებოდეს 1-1,5 გვერდს.

### ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა !

ილია ჭავჭავაძის საზოგადოების მიერ ხუთშაბათობით დანიშნული შეხვედრები დაინტერესებულ საზოგადოებრიობასთან 1 ნოემბრიდან 1 აპრილამდე ვაკის პარკის ნაცვლად გაიმართება ოპერის ბაღში. დასაწყისი 18 საათსა და 30 წუთზე.

რედაქტორის მაგიერ: კახაბერ კახაძე
სარედაქციო კოლეგია: ანზორ აბჟანდაძე, გუმა აფაქიძე, იოსებ ბანძელაძე, თამარ ჩხეიძე, ზურაბ ჭავჭავაძე
საზოგადოების დროებითი მისამართი: ლუნაჩარსკის 2, III სართ. ტ: 93-39-82